

მაია ბლიაძე
მანანა სეხნიაშვილი

გეოგრაფია 12

მოსწავლის ნიგნი

პირველი ნაწილი



სარჩევი

თემა 1

განვითარებული და განვითარებადი სამყარო

4

1. ურბანული და სამრეწველო
ლანდშაფტები

6

2. ურბანიზაცია

25

3. ქალაქი: ფუნქციები, იერარქია,
იერსახე, დაგეგმარება

46

4. აგლომერაცია, კონურბაცია, მეგა
და ჭკვიანი ქალაქები

70

5. ქალაქური პრობლემები

91

6. გლობალური ინდექსები

120

7. უთანასწორობის შემცირება

142

დანართი

თემა 2

გლობალური თანამშრომლობა და კავშირები

160

8. ტრანსნაციონალური კომპანიები
და რემიტანსები

162

9. ტრანსნაციონალური მდინარეები

182

10. სანაპირო ზოლის ერთობლივი
ათვისება

194

11. მსოფლიო ოკეანის დაბინძურება

213

12. კოფის ინდექსი, გლოკალიზაცია
(გლოსალიზაცია)

231

13. საერთაშორისო ორგანიზაციები

241

14. იუნესკოს მსოფლიო
მემკვიდრეობა

255

15. დაცული ტერიტორიები

275

16. კრიტიკული ეკორეგიონები

293

17. მწვანე პოლიტიკა

315

დანართი

თემა 1

განვითარებული და განვითარებადი სამყარო



აქ შეიტყობ, რომ...

- ◆ გეოსფერობი მნიშვნელოვან როლს ასრულებს განვითარებული და განვითარებადი სამყაროსთვის დამახასიათებელი ურბანული და სამრეწველო ლანდშაფტების ჩამოყალიბებისა და სახეცვლილების პროცესში.
- ◆ განვითარებულ და განვითარებად სამყაროში მიმდინარე მოვლენები და პროცესები დაკავშირებულია ეკონომიკურ განვითარებასთან და ისინი ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის.

თემის შესახებ

მსოფლიოს ქვეყნების საყოველთაოდ აღიარებული ტიპოლოგია დღემდე არ არსებობს, რადგან მათი კლასიფიკაციის კრიტერიუმი საქმაოდ ბევრია. სახელმწიფოები, რომებიც საზოგადოების საქმიანობის შედეგად წარმოიქმნა, მუდმივად ცვალებადია და სწორედ ეს ცვალებადობა ართულებს ობიექტური კრიტერიუმების ჩამოყალიბებას. ამიტომ ქვეყნების ტიპოლოგიაში უნდა გავითვალისწინოთ ამა თუ იმ სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორია, ფორმირების კანონზომიერება და მათი ადგილი მსოფლიო ეკონომიკის კონტექსტში.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია (გაერო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვ.) ქვეყნების ტიპებს მათი ფორმირების, განვითარების ისტორიული თავისებურებებისა და მაკროსტატისტიკური მონაცემების შესაბამისად გამოყოფს.

გაეროს მეთოდიკის მიხედვით, უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელია, რაც გულისხმობს მთლიან შიდა პროდუქტს, მთლიან ეროვნულ პროდუქტსა და ორივე მათგანის შეფარდებას ერთ სულ მოსახლეზე. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას წლების განმავლობაში დაფიქსირებული მთლიანი შიდა და მთლიანი ეროვნული პროდუქტების დინამიკა ასახავს. ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია დარგობრივი ეკონომიკის სტრუქტურა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმება ეროვნული ეკონომიკის მიმართულებით.

1. ურბანული და სამრეწველო ლანდშაფტები

გაიხსენე

დოკი

ნაგებობა, რომელიც განკუთვნილია გემის კორპუსის წყალქვეშა ნაწილის სარემონტო სამუშაოებისთვის.

ვიადუკი

გრძელი და მაღალ-საყრდენინი ხიდური ნაგებობა გზისა და დასერილი ადგილის (ხრამი, ხეობა და ა. შ.) გადაკვეთაზე.

ლანდშაფტმცოდნება (ლანდშაფტოლოგია)

ფიზიკურ-გეოგრაფიული მეცნიერების მიმართულება, რომელიც ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების (ბტკ) ანუ ლანდშაფტების (გეოგრაფიული კომპლექსები, გეოსისტემები) ნარმოშობას, სტრუქტურასა და დინამიკას, მათი განვითარების კანონზომიერებებსა და განლაგებას შეისწავლის. ასევე იკვლევს ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად გარდაქმნილ ბტკებს.

უადი (ვადი)

დაშრული მდინარის კალაპოტები აფრიკასა და აზიის უდაბნოებში.

დეზალიზაცია

პროცესი, რომლის დროსაც ზღვის ან წვიმის წყალი სასმელ რესურსად გარდაიქმნება.

- რა არის ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი (ლანდშაფტი) და რა განსხვავებაა ლანდშაფტურ (გეოგრაფიულ) გარსა და ლანდშაფტს შორის?
- როგორი ლანდშაფტები არსებობს?
- რომელ კონტინენტზეა ყველაზე მეტად გავრცელებული ანთროპოგენური ლანდშაფტები?
- რა სახის ლანდშაფტში ცხოვრობს დედამინის მოსახლეობის დიდი ნაწილი და რატომ?
- როდის დაინტერესობის განვითარება და რას ნიშნავს ტერმინი „სამრეწველო რევოლუცია“?

როგორ და რატომ ცვლის ადამიანი ლანდშაფტს?

ანთროპოგენური ლანდშაფტები ბუნებრივი კომპლექსებია, რომლებიც ადამიანის მიზანმიმართული და გაცნობიერებული საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება. ასეთი ლანდშაფტები ბიოლოგიური, კლიმატური, გეოლოგიური და ნიადაგური პროცესების ცვლილებებით ხასიათდება. ისინი ერთმანეთისგან გარემოსა და მთელ ეკოსისტემაზე ზემოქმედების ხარისხით განსხვავდება.

დავალება

- მოიყვანე მაგალითები, რომლებიც ბუნებრივი რესურსების გამოყენებით გამოწვეულ ლანდშაფტის ცვლილებებს ასახავს.

ადამიანსა და ბუნებას შორის ურთიერთგავლენისა და ურთიერთზემოქმედების მრავალი სასაზღვრო და შერეული მდგომარეობა არსებობს. აქედან გამოიყოფა სამი ძირითადი ტიპი: პირდაპირი, ირიბი და შემთხვევითი. ადამიანის განზრას ქმედებები, რაც ბუნებრივი გარემოს თვალსაჩინო თვისობრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს (მაგალითად, ცხოველთა განადგურება, ტყეების გაჩერება, ჰაერის დაბინძურება) ინვენს, გარემოზე პირდაპირი ზემოქმედებაა. ის ყველაზე უარყოფითად ზემოქმედებს დედამინის ეკოსისტემებზე. ადამიანის ქმედებები, რომლებიც აზიანებს ბუნებას, ჯაჭვური რეაქციით უკან უბრუნდება მას. ასეთი ქმედებებია:

- ნადირობა და თევზაობა არა საარსებო, არამედ აზარტის გამო და მოგების მიზნით;
- სასარგებლო წიაღისეულის შეუზღუდვავი მოპოვება;

- ◆ კაშხლებისა და სანაოსნო არხების მშენებლობა;
- ◆ კოსმოსში ფრენები არასამეცნიერო, მაგალითად, ტურისტული მიზნებით.

არაპირდაპირი ზემოქმედება არის ადამიანის განუზრახველი და გაუთვალისწინებელი გავლენა ბუნებაზე ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის დროს. მაგალითად, მიწის დასათესად მომზადებისას ჩატარებული სამელიორაციო სამუშაოების შედეგად დაზიანდა ნაკადულის სათავე (მიწით ამოივსო), რომლითაც უახლოესი ჭაობი იკვებებოდა. დროთა განმავლობაში ჭაობის ფართობი შემცირდა, მოგვიანებით კი ის მთლიანად დაშრა. შედეგად, დაიღუპა მასში მცხოვრები 30-მდე სახეობის ორგანიზმი (თევზი, წყლის ხოჭოები და მწერები), განადგურდა ჭაობის მთელი მცენარეულობა და გადამფრენმა ფრინველებმა შეწყვიტეს იქ დასვენება.

შემთხვევითია ზემოქმედება, როცა ადამიანები სხვადასხვა სახის საქმიანობის დროს დაუგეგმავად, უნებურად ახდენენ გავლენას უახლოეს ეკოსისტემაზე. მაგალითად, ხეების დასარგავად ორმოების თხრისას შესაძლოა, მარტივად დაირღვეს ადგილობრივი მიწისქვეშა ეკოსისტემა: განადგურდეს ხოჭოს, ჭიანჭველას ან სხვა მწერების კვერცხები, თხუნელას სორო და ა.შ.

❖ სურ. 1.1. ლანდშაფტზე ზემოქმედების ფორმები

ლანდშაფტზე ზემოქმედების ფორმები წარმოშობის მიხედვით	
ფიზიკური	მექანიკური, ხმოვანი, ოპტიკური ხასიათის ზემოქმედება – ყველა სახის ენერგიის გამოყენება, ავტომბილით, მატარებლით და თვითმფრინავით მგზავრობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და ა.შ.
ქიმიური	გარემოზე ზემოქმედება ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით – მინერალური სასუქებისა და პესტიციდების გამოყენება; სატრანსპორტო და სამრეწველო საწარმოებიდან გამონაბოლქვის ემისიები ატმოსფეროში; სარჩევების წყლის ობიექტებში ჩაყრა და ა.შ. ასევე ქიმიური ზემოქმედება ადამიანებზე: თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება, მედიკამენტების გადაჭარბებული გამოყენება.
ბიოლოგიური	განპირობებულია გარემოში დიდი რაოდენობით მიკროორგანიზმების (ვირუსები, ბაქტერიები) არსებით. მაგალითად, ადამიანი, რომელიც ავადდება ვირუსული ინფექციით, შეიძლება გახდეს დაავადების მატარებელი და წყარო სხვა ადამიანებისთვის; გაფუჭებული საკვები (მავნე ბაქტერიებით) ასევე შეიძლება გახდეს დაავადების წყარო; ამ ფაქტორებს აგრეთვე მიეკუთვნება ვირუსული ეპიდემიები, ბიოლოგიური იარაღის გამოყენება და სხვა ბიოლოგიურად არასასურველი მოვლენები.
სოციალური	ეს ფაქტორები უკავშირდება ადამიანებს შორს ურთიერთობას და მათ ცხოვრებას საზოგადოებაში. მეგობრულ და კეთილგანწყობილ საზოგადოებაში სტაბილური ურთიერთობები და მშვიდი, ხელსაყრელი გარემოა, რაც უზრუნველყოფს მისი ყველა წევრის ჯანმრთელობასა და კარგ განწყობას.

☰ დავალება

- როგორ ფიქრობ, რამდენჯერ შეიძლება შეცვალოს ადამიანმა ბუნებრივი ლანდშაფტი?
- გააანალიზე სურ. 1.1 და ახსენი, წარმოშობის მიხედვით ლანდშაფტზე ზემოქმედების რომელი ფორმაა ყველაზე მეტად საზიანო და გავრცელებული? დაასაბუთე შენი მოსაზრება.



ლანდშაფტების მცველი



საქართველოს ტერიტორიაზე 100-ზე მეტი დასახელების (კლასი, ჯგუფი, ტიპი, ქვეტიპი, სახე) ლანდშაფტია გავრცელებული.



ლანდშაფტმცოდნეობა (ლანდშაფტოლოგია)

ლანდშაფტური გამოკვლევა ეყრდნობა ექსპედიციური და სტაციონარული მუშაობის პროცესში ჩატარებულ ტერიტორიის უშუალო საველე კვლევას. საველე ექსპედიციური კვლევის დროს ხდება ძირითადად მიკრო- და ელემენტარული ლანდშაფტების აგეგვა. ექსპედიციური შესწავლის მიზანი ბტკ-ების საზღვრების დადგენა და შეგროვებული ძირითადი მასალის საფუძველზე ცალკეული ლანდშაფტისა და მისი მორფოლოგიური ნაწილების დახასიათებაა.

ევროპაში ლანდშაფტების შესწავლა ჯერ კიდევ XX საუკუნიდან დაიწყო. აქ ინტენსიურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ლანდშაფტების ფართო მასშტაბით კვლევა. ამ კუთხით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოში, გერმანიაში, პოლონეთში, რუმინეთში, ჩეხეთში, უნგრეთში და სხვა ქვეყნებში.

ლანდშაფტმცოდნეობა საქართველოში მას შემდეგ განვითარდა, რაც უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებში შესაბამისი კათედრები შეიქმნა. ამ მიმართულებით კვლევებში დიდი წვლილი შეიტანა 1965 წელს დარსებულმა მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიულმა სტაციონარმა, რომლის ბაზაზე შექმნილმა სამეცნიერო შრომებმა მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. აქ მიმდინარეობდა ლანდშაფტის დინამიკის, მდგომარეობისა და სტრუქტურის შესწავლა.

მნიშვნელოვანი კვლევები ტარდებოდა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც არაერთი სახელოვანი მეცნიერი მოღვაწეობდა.

ლანდშაფტმცოდნეობაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ქართველი მეცნიერების – დავით უკლებას, მელენტი სანებლიძის, ქრისტეფორე ჯაყელის, ნიკოლოზ ბერუჩაშვილის, ზურაბ სეფერთელაძის, ნოდარ ელიზბარაშვილის შრომებმა.

როგორი ანთროპოგენური ლანდშაფტები არსებობს?

ტექნიკურ პროგრესთან ერთად ადამიანი მუდმივად ცვლის ლანდშაფტს და ბუნებრივ ლანდშაფტებში ანთროპოგენური, ანუ ადამიანის საქმიანობისა და ზემოქმედების შედეგად შეცვლილი ლანდშაფტები ჩნდება. ეს შეცვლილი ბუნებრივი კომპლექსები სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით ჯგუფდება.

- ❖ სურ. 1.2. ლანდშაფტების კლასიფიკაცია
სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების მიხედვით

სამრეწველო	ამ ტიპის ანთროპოგენური ლანდშაფტები ფორმირდება ინდუსტრიული მიზნებით: გზების, დამბების, მილსადენების მშენებლობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება.	
სასოფლო-სამეურნეო	განკუთვნილია ბოსტნეულის, ხილის, მარცვლეული კულტურების მოსაყვანად, ასევე მეცხოველეობის განვითარებისთვის – მინდვრები, საძოვრები, ბაღები, ვენახები და სხვ.	
ტყის	მეორადი, ალდგენილი ტყის მასივები, რომლებიც გაჩერებილი ან ხანძრების შედეგად დამწვარი ტყეების ადგილას წარმოიქმნა.	
წყლის	განკუთვნილია მოსახლეობის სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად, ელექტროენერგიის მისაღებად, წყლის ტრანსპორტისა და რეკრეაციული კომპლექსების მომსახურებისთვის, წყალდიდობებისა და წყალმოვარდნებისგან დასაცავად. მაგ., ტბორები და წყალსაცავები.	
ურბანული	იქმნება დასახლებული პუნქტების – ქალაქების, სოფლების, დაბების მშენებლობის შედეგად. ანთროპოგენური ლანდშაფტის ეს სახე მოიცავს არა მხოლოდ მშენებლობას, არამედ დასახლების მთელ ინფრასტრუქტურას – ქუჩებს, გზებს, პარკებს და სხვ.	
რეკრეაციული	იქმნება რეკრეაციული მიზნებისთვის. მაგ., ხელოვნური პლაჟები, სანატორიუმები, სასტუმროები და სხვ.	

<p>სურ. 1.3. ლანდშაფტების</p> <p>ტიპები ადამიანის საქმიანობის მიზნის მიხედვით</p>	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr> <td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #009640; color: white; text-align: center;">პირობითად შეცვლელი</td><td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #e6f2ff; text-align: left;">ლანდშაფტების ამ ტიპისთვის დამახასიათებელია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ირიბი ზემოქმედების მცირე კვალი; მაგ., ტექნოგენური ემისიების დალექტა მთის მწვერვალებზე.</td></tr> <tr> <td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #009640; color: white; text-align: center;">მცირედ შეცვლილი</td><td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #e6f2ff; text-align: left;">ნარმოქმნილია ადამიანის ჩარევის შედეგად, მაგრამ ბუნებრივი კავშირები უმნიშვნელოდაა დარღვეული (მაგალითად, ნაკრძალები, ეროვნული პარკები).</td></tr> <tr> <td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #009640; color: white; text-align: center;">ძლიერ შეცვლილი</td><td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #e6f2ff; text-align: left;">ნარმოქმნილია გარკვეულ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსების ხანგრძლივი და ინტენსიური არარაციონალური გამოყენების შედეგად (მაგალითად, დაჭაობებული არეალები, გადაძოვების გამო გაჩენილი ნახევარულაბორები). ბუნებრივი კავშირები დარღვეულია, ცვლილებები შეუქცევადია.</td></tr> </table>	პირობითად შეცვლელი	ლანდშაფტების ამ ტიპისთვის დამახასიათებელია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ირიბი ზემოქმედების მცირე კვალი; მაგ., ტექნოგენური ემისიების დალექტა მთის მწვერვალებზე.	მცირედ შეცვლილი	ნარმოქმნილია ადამიანის ჩარევის შედეგად, მაგრამ ბუნებრივი კავშირები უმნიშვნელოდაა დარღვეული (მაგალითად, ნაკრძალები, ეროვნული პარკები).	ძლიერ შეცვლილი	ნარმოქმნილია გარკვეულ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსების ხანგრძლივი და ინტენსიური არარაციონალური გამოყენების შედეგად (მაგალითად, დაჭაობებული არეალები, გადაძოვების გამო გაჩენილი ნახევარულაბორები). ბუნებრივი კავშირები დარღვეულია, ცვლილებები შეუქცევადია.
პირობითად შეცვლელი	ლანდშაფტების ამ ტიპისთვის დამახასიათებელია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ირიბი ზემოქმედების მცირე კვალი; მაგ., ტექნოგენური ემისიების დალექტა მთის მწვერვალებზე.						
მცირედ შეცვლილი	ნარმოქმნილია ადამიანის ჩარევის შედეგად, მაგრამ ბუნებრივი კავშირები უმნიშვნელოდაა დარღვეული (მაგალითად, ნაკრძალები, ეროვნული პარკები).						
ძლიერ შეცვლილი	ნარმოქმნილია გარკვეულ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსების ხანგრძლივი და ინტენსიური არარაციონალური გამოყენების შედეგად (მაგალითად, დაჭაობებული არეალები, გადაძოვების გამო გაჩენილი ნახევარულაბორები). ბუნებრივი კავშირები დარღვეულია, ცვლილებები შეუქცევადია.						

<p>სურ. 1.4. ლანდშაფტების</p> <p>ტიპები ნარმოქმნის მიზნის მიხედვით</p>	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr> <td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #009640; color: white; text-align: center;">პირდაპირი</td><td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #e6f2ff; text-align: left;">გარკვეული სქემით მიზანმიმართულად შექმნილი ლანდშაფტები (მაგალითად, წყალსაცავები).</td></tr> <tr> <td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #009640; color: white; text-align: center;">თანამდევი</td><td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #e6f2ff; text-align: left;">ნარმოქმნება ადამიანის ირიბი ზემოქმედების შედეგად (მაგალითად, ხრამების გაჩენა).</td></tr> </table>	პირდაპირი	გარკვეული სქემით მიზანმიმართულად შექმნილი ლანდშაფტები (მაგალითად, წყალსაცავები).	თანამდევი	ნარმოქმნება ადამიანის ირიბი ზემოქმედების შედეგად (მაგალითად, ხრამების გაჩენა).
პირდაპირი	გარკვეული სქემით მიზანმიმართულად შექმნილი ლანდშაფტები (მაგალითად, წყალსაცავები).				
თანამდევი	ნარმოქმნება ადამიანის ირიბი ზემოქმედების შედეგად (მაგალითად, ხრამების გაჩენა).				

<p>სურ. 1.5. ლანდშაფტების</p> <p>ტიპები არსებობის ხანგრძლივობისა და თვითრეგულირების ხარისხის მიხედვით</p>	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr> <td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #009640; color: white; text-align: center;">გრძელვადიანი</td><td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #e6f2ff; text-align: left;">შეუძლია არსებობა დამოუკიდებლად, ადამიანის მონაწილეობის გარეშე (მაგალითად, ყორდანები).</td></tr> <tr> <td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #009640; color: white; text-align: center;">მრავალწლიური</td><td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #e6f2ff; text-align: left;">საჭიროებს ადამიანის ნაწილობრივ ჩარევას (მაგალითად, ტყის მასივები).</td></tr> <tr> <td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #009640; color: white; text-align: center;">მოკლევადიანი</td><td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #e6f2ff; text-align: left;">შეუძლია არსებობა მხოლოდ ადამიანის მხარდაჭერით (მაგალითად, მინდვრები სასოფლო-სამეურნეო კულტურებით: ბრინჯის ველები სამხრეთ აზიაში).</td></tr> </table>	გრძელვადიანი	შეუძლია არსებობა დამოუკიდებლად, ადამიანის მონაწილეობის გარეშე (მაგალითად, ყორდანები).	მრავალწლიური	საჭიროებს ადამიანის ნაწილობრივ ჩარევას (მაგალითად, ტყის მასივები).	მოკლევადიანი	შეუძლია არსებობა მხოლოდ ადამიანის მხარდაჭერით (მაგალითად, მინდვრები სასოფლო-სამეურნეო კულტურებით: ბრინჯის ველები სამხრეთ აზიაში).
გრძელვადიანი	შეუძლია არსებობა დამოუკიდებლად, ადამიანის მონაწილეობის გარეშე (მაგალითად, ყორდანები).						
მრავალწლიური	საჭიროებს ადამიანის ნაწილობრივ ჩარევას (მაგალითად, ტყის მასივები).						
მოკლევადიანი	შეუძლია არსებობა მხოლოდ ადამიანის მხარდაჭერით (მაგალითად, მინდვრები სასოფლო-სამეურნეო კულტურებით: ბრინჯის ველები სამხრეთ აზიაში).						

<p>სურ. 1.6. ლანდშაფტების</p> <p>ტიპები ეკონომიკური დირებულების მიხედვით</p>	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr> <td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #009640; color: white; text-align: center;">კულტურული</td><td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #e6f2ff; text-align: left;">ნარმოქმნება სამეურნეო, ესთეტიკური, დაცვითი ამოცანების გადასაჭრელად (მაგალითად, მინდვრები, წყალსაცავები, ეროვნული პარკები და სხვ.).</td></tr> <tr> <td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #009640; color: white; text-align: center;">აკულტურული</td><td style="width: 33%; padding: 5px; background-color: #e6f2ff; text-align: left;">ნარმოქმნება გაუაზრებელი სამეურნეო საქმიანობის შედეგად (მაგალითად, ხრამები, დაჭაობებული ტერიტორიები, დამლაშებული მინები და სხვ.).</td></tr> </table>	კულტურული	ნარმოქმნება სამეურნეო, ესთეტიკური, დაცვითი ამოცანების გადასაჭრელად (მაგალითად, მინდვრები, წყალსაცავები, ეროვნული პარკები და სხვ.).	აკულტურული	ნარმოქმნება გაუაზრებელი სამეურნეო საქმიანობის შედეგად (მაგალითად, ხრამები, დაჭაობებული ტერიტორიები, დამლაშებული მინები და სხვ.).
კულტურული	ნარმოქმნება სამეურნეო, ესთეტიკური, დაცვითი ამოცანების გადასაჭრელად (მაგალითად, მინდვრები, წყალსაცავები, ეროვნული პარკები და სხვ.).				
აკულტურული	ნარმოქმნება გაუაზრებელი სამეურნეო საქმიანობის შედეგად (მაგალითად, ხრამები, დაჭაობებული ტერიტორიები, დამლაშებული მინები და სხვ.).				

დავალება

- 4. როგორ ფიქრობ, როდის გაჩნდა ანთროპოგენური ლანდშაფტები და რა მიზეზებმა განაპირობა მათი ნარმექმნა?
- 5. გაეცანი სურ. 1.2.-1.6. და გამოქვიდი ვარაუდი, როგორ შეიცვლება ანთროპოგენური ლანდშაფტების გეოგრაფია?

ანთროპოგენური ლანდშაფტების გეოგრაფია საკმაოდ ფართოა, რადგან ადამიანი ანტარქტიდის გარდა ყველა კონტინენტზე ცხოვრობს. ეკონო-მიკის განვითარებასთან ერთად, გაიზარდა ანთროპოგენური ზემოქმედების მასშტაბები, რამაც ბუნებრივი ლანდშაფტების ძირფესვიანად შეცვლა და მათ ადგილას ანთროპოგენური ლანდშაფტების წარმოქმნა გამოიწვია. ლანდშაფტი, რომელიც ამჟამად გარს აკრავს ადამიანს – ქალაქები თანამე-დროვე ინფრასტრუქტურით, ტყეები, სამთო მაღაროები, ეროვნული პარკები და ნაკრძალები, ხეხილის ბალები და ვენახები, სათხილამურო და საზღვაო კურორტები – შეცვლილი ბუნებრივი ლანდშაფტის მაგალითებია.

ანთროპოგენური ლანდშაფტის ერთ-ერთი სახეობაა კულტურული ლანდ-შაფტი, რომლის მაგალითებია უდაბნოში შექმნილი ოაზისები, გადახნული სტეპი ტყის ზოლებით და სხვა. კულტურული ლანდშაფტი დიდად არ განსხვავდება ბუნებრივისგან. მას შენარჩუნებული აქვს გეოლოგიური აგებულება, რელიეფის მორფოსტრუქტურული ნიშნები და ჰავის ძირითადი თავისებურებანი; კულტურული ლანდშაფტი ემორჩილება გეოგრაფიული ზონალობისა და აზონალობის კანონზომიერებას.

☞ სურ. 1.7. კულტურული ლანდშაფტის ფორმირების პირობები



შემთხვევის ანალიზი 1

გაეცანი ინფორმაციას და უპასუხე კითხვებს:

კულტურული ლანდშაფტების მაგალითები

მაგალითი 1.

„მზის კოშკი“ სევილიაში (ესპანეთი) მსოფლიოში პირველი კომერციული ელექტროსადგურია, რომელიც მზის ენერგიაზე მუშაობს. ტერიტორია, სადაც მზის ელექტროსადგურია განლაგებული, სარკის მიღმა სამყა-

როს გვაგონებს. ცენტრში დგას ორი გიგანტური კოშკი – PS10 და PS20. თითოეულის სიმაღლე 40-სართულიანი შენობის სიმაღლის ტოლია. PS10 კოშკის გარშემო განლაგებულია 624 ცალი ჰელიოსტატი – უზარმაზარი სარკები, რომლებიც მზის სხივების კვალდაკვალ მოძრაობს და მათ ენერგიას კოშკისენ მიმართავს. აქ განთავსებული ორთქელის ტურბინები კი ამ ენერგიას ელექტროენერგიად გარდაქმნის. კოშკი PS20 კიდევ უფრო მძლავრია – მის გარშემო 1255 სარკეა განლაგებული. წინასწარი გამოთვლებით, ჰელიოსადგურის მუშაობა 25 წლის განმავლობაში ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გამოყოფას ყოველწლიურად 600 ათასი ტონით შეამცირებს.



მაგალითი 2.

ბეიჯინგ-შანხაის რკინიგზის ნაწილი, დანიან-კუნშანის ვიადუკი მსოფლიოში ყველაზე გრძელი, 168,4 კმ-ის სიგრძის ხიდია, რომელიც აღმოსავლეთ ჩინეთის ცინიანსუს პროვინციის ოთხ ქალაქს აკავშირებს. მისი 9 კმ-იანი მონაკვეთი წყალზე, იანჩეჰოს ტბაზე გადის. ვიადუკის მშენებლობა 2008 წელს დაიწყო და 2011 წლის ზაფხულში დასრულდა. მის გასავლელად 2 საათია საჭირო.



მაგალითი 3.

უადი-რუმი (ასევე ცნობილი, როგორც ვადი-რუმი), ანუ „მთვარის ხეობა“, ქვიშაქვისა და გრანიტის კლდეებში გამოკვეთილი ხეობაა სამხრეთ



იორდანიაში, ქალაქ აკაბიდან 60 კმ-ში აღმოსავლეთით და უდიდესი უადია ქვეყანაში.

უადი რუმის ხეობაში საირიგაციო სისტემის მოწყობაშ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის განვითარებას. სპეციალური მოწყობილობების სამუ-ალებით აქ მიწისქვეშა წყლებს 30-დან 400 მეტრამდე სიღრმიდან იღებენ და წრიული ფორმის მინდვრებს სარწყავი მილების გამოყენებით რწყავენ. საირიგაციო სისტემა, რომელიც სპეციალური პლასტმასის მილებისგან შედგება, წყლის დაზოგვისა და უდაბნოს მაღალი ტემპერატურის დაძლევის საშუალებას იძლევა.



კითხვები

- კულტურული ლანდშაფტის შექმნის რომელ პირობას აქმაყოფილებს თითოეული მაგალითი?
- ხომ არ არის შენს საცხოვრებელ-ადგილთან ახლოს რომელიმე კულტურული ლანდშაფტი?

მნიშვნელოვანია, რომ კულტურული ლანდშაფტი არ იყოს ერთფეროვანი; მასში არ უნდა შედიოდეს ადამიანის მიერ შექმნილი გაუდაბურებული ტერიტორიები, მიტოვებული კარიერები და ნაგავსაყრელები და უნდა მოიცავდეს დაცულ ტერიტორიებს.



დავალება

- გაეცანი მოსაზრებებს და ახსენი, ეთანხმები თუ არა მათ და რატომ:
- კულტურულ ლანდშაფტს ბუნებისა და ადამიანის ერთობლივ ქმნილებას უწოდებენ.
- ანთროპოგენური ლანდშაფტები ასახავს საზოგადოებისა და დასახლებების ევოლუციის მრავალსაუკუნო-
- გან პროცესს, რომელიც ხელსაყრელი და/ან არახელსაყრელი ბუნებრივი ფაქტორების გავლენით მიმდინარეობდა.
- ანთროპოგენური ლანდშაფტები ხელს უწყობს პიომრავალფეროვნების შენარჩუნებას.